რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. ‖ სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.
დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

## „დროებაზედ“

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

**პსკოვი**, 10 ივლისს. დღეს ჩვენი ქალაქი დღესასწაულობს წმინდა ოლგას ათასი წლის დაბადების დღეს, სწირეს საკათედრო სობოროში, იქიდამ შემოსილი სამღვდელოება და ხალხი გავიდა დიდი მდინარის გაღმა, ბელგაზედ. იმ ალაგას, სადაც ოლგამ თითონ უჩვენა ქალაქის აშენება, იაზმა გადიხადეს, აქედამ წამოვიდენ სოფელ ვირბუტში, სადაც ოლგა დაიბადა; იქ გადიხდიან საღამოს ლოცვას, ხალხი დიდ მონაწილეობას იღებს ამ დღესასწაულში.

**პარიჟი**, გუშინ ხოლერისგან მოკვდა ორას სამოცდა ცხრა (269) კაცი.

**ვარშავა**, 10 ივლისს. გუშინ მოვიდა ახალი გენერალ გუბერნატორი გურკო. სამხედრო პირნი მიეგებნენ სტანციაზედ, სამოქალაქო პირნი მიიღო დღეს ბელვედერში.

**სარატოვი**, ვოლგა თან-და-თან თხელდება და ორთქლის გემები ნაპირებს ველარ უდგებიან.

**ბელზერსკი**, ცხრა ივლისამდე ახლად გახსნილ სვირის არხში შემოვიდა სულ 1902 დადებული ბარქასი. ამ არხით სიარული ჯერ მეტად ძნელია, ასე რომ რიბინსკიდამ პეტერბურღამდე უნდებიან 72-იდამ 87 დღემდე.

**ირკუტსკი**, გუშინ გაისტუმრეს პეტერბურღში 345 ფუთი და 20 გირვანქა ოქრო.

### თბილისი, 12 ივლისს.

არა ერთხელ აღიარებულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში ჩვენივე მწერლობის უფერულობა და საზოგადოდ მისი არა სანატრელი მდგომარეობა. ამ სამწუხარო გარემოების მიზეზნი მრავალნი არიან; უმეტესნი მათგანი ადვილათ გასაგებნი არიან და ამისათვის მათ გამეორებას საჭიროდ არა ვსთვლით. აქ გვსურს ჩვენი მწერლობის უფერულობის მხოლოდ ერთი მიზეზი დავასახელოთ და გამოვიკვლიოთ.

ყველამ კარგათ ვიცით, თუ რამდენად არის გავრცელებული ჩვენში ჟურნალ-გაზეთობა, თუ რაოდენად მოქმედობს იგი მკითხველ საზოგადოებაზე, და რაოდენად სცემს მას პატივსა, ვითარცა ქვეყნის და საზოგადოების დამცველსა. ამ შემთხვევაში ჩვენ თვალებს ნუ ავეხვევთ და საქვეყნოდ ვაღვიაროთ ის ჭეშმარიტება, რომ ზემოხსენებულ კითხვებზე შესაძლოა მიეცეს არა სასიამოვნო პასუხი. როცა მწერლობაში ამ გარემოებაზე ასტყდება ლაპარაკი, მაშინვე შეუდგებიან მისი არსებობის მიზეზის გამოკვლევას და ბრალსა სდებენ თან მწერლობას და თან მკითხველ საზოგადოებასა. ღაღადებენ, რომ მწერლობა ვერ მიხვედრია საზოგადოების ვარამსა და ინტერესებსაო; ამ მოსაზრებას იმასაც დასძინებენ, რომ მკითხველი საზოგადოება ერთობ მცირე რიცხვიდგან შესდგებაო და ისიც ვერ წარმოადგენს კარგათ შემუშავებულ ნიადაგს სხვა-და-სხვა განმანათლებელი აზრების დანერგვისათვის და შეთვისებისათვისო, რომ მკითხველთა წრე წარმოადგენსო იმისთანა გვამთა გროვას, რომელნიც ცხადად განსხვავდებიან ერთი-ერმანეთისაგან გონებითი განვითარებით, მიმართულებით და ლიტერატურული გემოვნებით; ეს გარემოება გვიძნელებს, გვეუბნებიან მოღვაწენი, საქმესო და არ ვიცით ვინ არის ჩვენი «მკითხველი». ამასთანავე მკითხველი საზოგადოების ზოგიერთა ნაწილს სდებენ ბრალათ გულ-გრილობას და თან სიმძულვარეს მწერლობისადმი. გულწრფელად უნდა ვაღვიაროთ, რომ ზემო მოყვანილნი მოსაზრებანი უსაფუძვლონი არ არიან, ესე იგი ორნივე მხარე, მწერლობა და მკითხველი ერთმანეთს ვერარას დააყვედრებს; დამნაშავენი არიან ორთავე ერთიერთმანეთის წინაშე, და ამ ორთავეს დამნაშაობის მიზეზი არის ჩვენი ქვეყნის საზოგადო მდგომარეობა, რომელსაც, ვითარცა უმთავრესსა და უმრავლესსა მიზეზსა ჩვენი მწერლობის მდგომარეობისა, მოსდევს სხვა და-სხვა წვრილმანი მიზეზები, რომლებიც კიდევ უფრო აძნელებენ საქმეს და უშლიან მწერლობას ფეხის ადგმას. აი, ამ გვარი საზოგადო მიზეზიდგან წარმოშობილი მიზეზი არის, სხვათა შორის, მწერლობის უფერულობა და სისუსტე, რომლებიც აუცილებლად შეაფერხებენ მის გავრცელებას და განძლიერებას.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი მწერლობის უფერულობა და როგორ მოქმედებს იგი თვით მწერლობაზე მისივე მოღვაწეთურთ და მკითხველ საზოგადოებაზე?

ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენი მწერლობისათვის, ის უეჭველად შენიშნავდა იმ მოვლენას, რომ ჩვენი მწერლობის კითხვები და ის საგნები, რომლებსაც იგი შეეხება, მოქცეულია ვიწრო წრეში, რომლის გაფართოება და რომლიდგან გარდმობიჯება სწორედ მოუხერხებელი საქმეა. ჩვენს მწერლობას ნიშანში ამოუღია რამოდენიმე კითხვა და ყოველ მხრიდგან მას უვლის და წლიდგან წლამდე მათზე მუშაობს. მაგალითად, ოცი წელიწადია, რაც ვამტკიცებთ, რომ სამშობლო ენას უნდა მიეცეს ხალხის ცხოვრებაში ჯეროვანი ადგილი, რომ ნამდვილი განათლება მოუხერხებელია გარეშე დედა ენის შესწავლისა და სხვ. და სხვ. ეს ჭეშმარიტება და სხვა მის მსგავსი ათას ნაირად გადაგვიბრუნ-გადმოგვიბრუნებია, ძველი ნათქვამი იმოდენჯერმე გაგვიმეორებია, ახალის თქმა თუ შესაძლებელი იყო, ისეც არ დაგვიკლია, თავიდამვე შევდგომივართ საქმეს და მაგ კითხვას ვერა გაეწყორა. მკითხველებს ყურები გამოვუყრუეთ და თავი მოვაბეზრეთ, ჩვენც ენა გავიცვითეთ, გონება დავიჩლუნგეთ და მაინც ვერა გავხდით რას. მაგ გვარ საგანზე სჯა რომ აღძრათ სხვა რომელიმე მწერლობა-

«დროების» ფელტონი 13 ივლისი.

## სცენა.

მთვარე კაშკაშებს. შუა-ღამეა. ოთხ კინტუას ზედ ბულვარზედ გაუშლიათ ხალიჩა, ზედ მოუკეცნიათ და ვახშმობენ. სამი მათგანი, მოსული ბიჭები, დარბაისლურად სხედან და შეექცევიან. მხოლოდ მეოთხე დაჩიორებული, ხრინწიანი კინტო თითქმის არაფერსა სჭამს და არც ამხანაგებს უგდებს ყურსა. თავისთვის მღერის, ხან ქუჩის მეორე მხარეზედ მოპირდაპირე კინტოს ეშაირება; უფრო კი გამვლელ-გამომვლელზედ ოხუნჯობს.

— თვალი დაუდგა მამა-ჩემს, რომ მოკვდა! ალა მგონია ჯავრით გული უსქდება, რომ მე, იმისი სოსანა, ამისთანა განათლებულ ცხოვრებაში ვარ. მაშ!.. იმ საწყალს თავის დღეში ქილობიც არა ჰქონია და მე კი—ერთი შემომხედეთ და!—ხალიჩაზედა ვზივარ და ზედ ბულვარზედ ვახშამს მივირთმევ...

— მაშ, სოსან, ეს ღმერთმა შეიწყალოს მამა-შენი! აილებს სტაქანს ერთი კინტო.

— რას მიჭქარამ, მუდრეკ! წაიღეს იმისი ოხერი....და! ია რომ ჭკვიანი კაცი ყოფილიყო არ მოკვდებოდა. კაცს ჩემისთანა განათლებული შვილი გამოუვიდეს და მოკვდეს? შეუტევს სოსანა. შენ ცოცხლებისა დალიე, მკვდარს რას დასდევ. აი ხოლერა მოსულა—ჩვენც იქ წავალთ რაღა!.. დაიწყობს სიმღერას ნელა, ერთი რაღაც მარშის ხმაზედ, «საყვა-ა-არელო-ო მამა-ა-აგონდი-ი!..» განათლებაა, განათლება მაშ!.. სოსანა უპრალო ვინმე გგონიათ?

ამ დროს გამოივლის ჩქარის ნაბიჯით ერთი სადღაც დაგვიანებული ქალი, რუსულად ჩაცმული.

— მილისტი პროსიმ, ბარიშნაჯან! მილისტი-ი პრო-ოსიმ, ცოტა გააგრძელებს მერე, კაპიკ-ნა-ა ოსიმ! ქალს შერცხვება და თავ-ჩაღუნული ფეხს გაუჩქარებს.

— ჰეი, ბიჭებო, გამიგონეთ ერთი რას გეუბნებით!—არ აყენებს პირს სოსანა. იაეთი განათლებული კაცი არ იქნება, რომ ავიდეს და ზედ მთვარეზედ ესე გადაიბოტოს?

— შენც ხომ განათლებული ყმაწვილი ბრძანდები, სცადე რაღა, უპასუხებს ერთი.

— ეჰ, მე არა ვარ ისეთი განათლებული და. ერთი კურსი კიდევ დამაკლდა, თორემ... აი, უთუოდ ეს იქნება ისეთი განათლებული, უჩვენებს ერთს ცილინდრიან კაცზედ, რომელიც იმათ წინ გამოივლის. შაჰხედო «პრაფესორი» გეგონება, თხუთმეტ მანათზედ კი გდია პისრად. სად არის ეხლა ერთი დამპალი ნესვი მაგას?!.

— ძმებო, ჯეელებო! ეს იცით რა იყოს? აილებს სტაქანს ხელში სოსანა. ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ის ხორველა, რომელიც ემათ თავს მამშორებს!—უჩვენებს ერთს თეთრტანისამოსიან ქუჩის ყარაულზედ.

მოდის ერთი კავალერი, რომელსაც მკლავ-გაყრილი ერთი გრძელ ცხვირა ქალი მოჰყავს.

— ბიჭო, ერთი შაჰხედეთ და! ოსურ სახნისს არ მიუგავს ი ქალს ცხვირი... მე ეგეთი ცხვირი მქონ-

ში, სიცილს დაგაყრიან და სამარიდან ამომძვრალად ჩაგთვლიან. ე. გარემოება გვიმტკიცებს იმას, რომ ელემენტარული კითხვები, რომლებზედაც დამყარებულია ყოველი საზოგადოების ცხოვრება, ჩვენ გარდაგვიწყვეტია ჯერ-ჯერობით ჩვენს გონებაში, თეორიაში, მაგრამ ცხოვრებაში კი ვერ გაგვიტარებია იგინი, ვერ გაგვიხორციელებია ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. ამის გამო ჩვენ ზნეობითი უფლება არა გვაქვს იმ «ელემენტარულ კითხვებზე» სჯა მოვისპოთ; ქვეყნის ყოველს მოთხოვნილებაზე მხოლოდ მაშინ დაბოლოვდება, როცა იგი დაკმაყოფილებული იქნება; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოვალენი ვართ ერთი-და-იმავე საგანზე ყოველს წამს ვილაპარაკოთ და მხოლოდ მაშინ შევსწყვიტოთ ლაპარაკი ამორჩეულს საგანზე, როცა ჩვენს წადილს მივაღწევთ. რასაკვირველია, ამ გვარი სიზიფის მუშაობა ჩვენ აგვცილდებოდა, თუ რომ ჩვენი ცხოვრება იმ თანა ვიწრო კალაპოტში არ იყოს მოქცეული, რომელიც უსპობს მას ყოველს საშუალებას წარმატებისათვის.

როგორც უკვე ვსთქვით, ერთ და იმავე საგანზე სჯა წლიდგან წლამდე სწორედ მოსაწყენია მკითხველი საზოგადოებისათვის; მაშასადამე მისი გონება ჯეროვანად ვერ მუშაობს და უძლურდება. არც მწერლის საქმეა უკეთესს მდგომარეობაში: ერთ და იმავე წრეში ტრიალი უსპობს მას გონების ძალას, უქრობს მხურვალე გრძნობას და უკარგავს ხალისს თავის საქმისადმი. სწორედ საზარელია მწერლობის მოღვაწეთ ამ გვარი მდგომარეობა, როცა აზრი მოკლებულია მოძრაობას. აბა, როგორი უნდა იყოს მწერლობის მდგომარეობა მაშინ, როცა გონებას დასწოლია ტყვიასავით საზოგადო ატმოსფერის ბურუსი.

ზოგიერთნი, ამისთანა გარემოებების შემხედვარე, უსამართლოდ ეპყრობიან ახალ-გაზრდობას და სჩივიან, ვითომც ახალ-თაობა მოკლებულია ნიჭიერებას და სხვა თვისებებს, რომელნიც უნდა შეადგენდენ აუცილებელ და უმთავრეს საკუთრებას მწერლისათვის. სწორედ უსამართლოა ამისთანა აზრი: ხალხში არასოდეს არ აკლდება ნიჭიერების ნაპერწკალი და წარმატებისადმი სურვილი; შეუძლებელია, რომ ახალი თაობა მოკლებული იყოს ნიჭიერებას, რომელიც ქრება და სჭკნება, თუ რომ «გზა ფართო» არ მიეცა მას. ხალხთა ცხოვრებაში მოაღწევს ხანდისხან ჟამი, როცა მუხრუჭი მიაჩნიათ ყოვლად შემძლე და სასარგებლო საშუალებათ; ნიჭიერება კი, როგორც იტყვის რუსის პოეტი, არის «Даръ напрасный, даъ случайный», რომელსაც არავითარი ფასი არ აქვს, ამ გვარი გარემოება სასარგებლოა ზოგიერთთათვის, და არა ხალხისა და ქვეყნისათვის.

ამისთანა გარემოებათა წყალობით მწერლობის ნიჭიერება და გრძნობა ჰლუნგდება: ეს იგი ჩვენი მწერლობის უფეროულობა და სისუსტე არის შედეგი საზოგადო ნისლიანი ატმოსფერისა და არა ბუნებითი უნიჭობისა და უვარგისობისა.

## ახალი ამბები.

—— პირველი ივლისიდამ ძლიერი ცოლვები დაიჭირა თითქმის ყველგან. შეიძლება წარსული წლის მსგავსად ცეცხლი გაუჩნდეს ტყეებს და რიგია ეხლავე შეუდგნენ თადარიგს. მაგრამ ვინ ფიქრობს ამაზე. წარსულ წელში ერთმა გუბერნიის უფროსმა ერთ მაზრის უფროსს ჰკითხა: რა ამბავია, რომ ამ მთებს ცეცხლი ეკიდება? ან რა საშუალებებს უნდა მივმართოთო? —ეს ცეცხლი, თქვენო აღმატებულებავ, სახელმწიფო ტყეს კი არ უკიდია, მცხოვრებლების, მებატონეების ტყეები გახლავთ, მიუგო მაზრის უფროსმა.

—— შორაპნიდამ გვწერენ: ხალხში ძლიერ გამრავლდა ყალბი ხუთ მანეთიანები. ისე ოსტატურად არის გაკეთებული, რომ არა თუ უსწავლელ კაცს, ნასწავლ კაცსაც გაუჭირდება შეტყობა ყალბია თუ ნამდვილი ეს ხუთ მანეთიანები. მართებლობა უნდა აცხადებდეს სახალხოდ თუ როგორ შეიძლება ყალბი ქაღალდის ფულების გამოცნობა, მაგრამ ეს საიდუმლოება მარტო მაზრის უფროსებს აქვს შეტყობილი და სხვა ხალხისათვის დაფარულია. ნეტავი რისთვის?..

—— იქიდამვე გვატყობინებენ: მშვენიერი მოსავლის პირი უჩანს წრეულ ჩვენს ვენახებს, მაგრამ რაღაცა გაუჩნდა ზოგიერთ ალაგას ვაზს და ხმება სრულებით. ძლიერ კარგი იქმნება, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ერთი თავისი წევრთაგანი გამოგზავნოს და შეიტყოს მიზეზი ამ ვაზის ავადმყოფობისა.

—— გუშინ იყო ტელეგრამა პეტერბურღიდამ ვითომ მკურნალობის საქალებო კურსები მოსკოვში გადააქვთო. თუმცა პეტერბურღში სჯობდა დაეტოვებინათ, მაგრამ ალაგის არჩევანს ვინღა დასდევს, როდესაც ლამის მთლად მოსპონ ამისთანა სასარგებლო დაწესებულება. აი სექტემბერმაც მოატანა, როდესაც იწყობა, ესრედ წოდებული, აკადემიური წელიწადი, როდესაც ყველგან უნდა დაიწყოს სწავლა და იმ კურსების საქმე კი ჯერ არ გათავებულა. მაშასადამე, წლევანდელმა წელიწადმაც ისე ფუჭად უნდა ჩაიაროს და მომდევნოშიაც ღმერთმა იცის—გაეღებათ რუსეთის ქალებს მეცნიერების კარები, თუ არა. ეს კურსები, როგორც იცით, კერძო ინიციატივით არიან დაარსებულნი. ამისთანა განათლებულმა და შესანიშნავმა სახელმწიფო კაცმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, როგორიც იყო სამხედრო მინისტრი მილიუტინი. მასთან ერთად ამ კურსებს თანა-უგრძნობდენ მრავალნი წარჩინებულნი პირნი, მაგრამ ამ ბოლოს დროს გული აჰყარეს, რაღაც მიზეზით. საზოგადოების თანაგრძნობა ამ კურსებისადმი ეხლაც იქამდე მიდის, რომ ციმბირის სადღაც გადაკარგულს კუნჭულში—უსტ-კამენოგორსკში—სცენის მოყვარეთ ამ კურსების სასარგებლოდ წარმოდგენა გაუმართავთ [illegible] 171 [illegible] გაზ. «Новости»-ს [illegible] მოუგზავნიათ...

—— კვირას, 10-ს ამ თვისას, გამოვიდა ბ. ნიკოლაძის «Обзоръ»-ის ნომერი. საინტერესო იმაში არაფერი არ არის: იგივე «კავკაზის» ფურცელია გადაბეჭდილი და ნიკოლაძის კალამს ერთი სტრიქონიც არ აკლია. საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ ბ. ნიკოლაძე რედაქტორობის უფლებას არა ჰკარგავს და კიდევ განძრახვა აქვს განაახლოს და განაგრძოს გაზეთის გამოცემა.

—— ეს საათში მივიღეთ ბ. ი. ს. გოგებაშვილისაგან სუფთად და მშვენივრად გამოცემული «რჩეულ ლექსთა კრება», სახელად «ხომლი». წიგნი შეიცავს სულ ას გვერდს, ე. ი. ცოტა პატარაა «ივერიის» ჩვეულებრივ ნომერზედ. დაბეჭდილია ხელაძის ახალი, მართლა, გარკვეული შრიფტით, რომლითაც იბეჭდება ხოლმე ჩვენი გაზეთის ტელეგრამები და ზოგჯერ მოწინავე წერილები. ამ ლექსთა კრებაში მოქცეულია მართლა საუკეთესო ლექსები ჩვენის წარჩინებულის პოეტებისა: აკაკისა, ილ. ჭავჭავაძისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გრ. ორბელიანისა, რაფ. ერისთავისა და ვახ. ორბელიანისა. ღირს ექვსი შაური.

დიდს სიკეთეს დაგვიდებდენ, რომ გამომცემლობის საქმეს ხელს მოჰკიდებდენ ბ. გოგებაშვილისთანა კაცები, თორემ სხვა-და-სხვა ჭიჭინოლლებმა მთლად ტალახში ამოათრიეს ეს პატიოსანი და სასარგებლო საქმე.

## კრიჭაში.

ერთ მაზრის ქალაქში ერთი მეტად მადლიანი ციხის ზედამხედველია, რომელიც პურის მაგიერ სულ სამღრთო წერილს უკითხავს ტუსაღებს და მარხულობას უქადაგებს. ამდენი ქადაგება და ვედრება მაინც არ შეუწირავს კოპალეს

---

დეს, მიზნავს მე ვეჯობებდი სიმდიდრით.

— საიდან?—ჰკითხავს ერთი კინტო.

— ვა, მტკვარში ერთ ჭიჭყინას არ გაუშვებდი, სუ მე დავიჭერდი. ჩავკრავდი და ამოვაგდებდი, ჩავკრავდი და ამოვაგდებდი!..

მიდის ერთი, ყველასგან ცნობილი და ბულვარის განუშორებელი სტუმარი. სოსანა სტაქნით ხელში მარდად წამოვარდება.

— კნიაზჯან, შენი სულის ჭირიმე, მოდი ერთი დაგვილოცე ესე, ჩვენი კამპანიით.

კნიაზი შედგება.—ბიჭო, ამისთანა კოტრობაში, რა დროს ქეიფია?

— კნიაზჯან, თქვენ ყოველ ღამე სუ «კლუბებში» და «კრუჟოკებში» დასდიხართ—ქეიფს არავინ გძახის და ჩვენ რომ თითო ჩარექა დავლიოთ, ეს ქეიფია! თუ რამე ვჭამთ, აი ეს კასრით აღებულსა ვჭამთ აი! დაირტყამს კისერზედ ხელს... თან-და-თან მიუახლოვდებათ გოროდოვოი; ჯერ ჩუმად აყველ-ჩაყველის და მერე შეუტევს რუსულად:

— რა დროს ქუჩაში ყვირილია? ბასწით შინ...

— ა თებე კაკოი დელა? მა ნიკავო ნი აბიჟაიმ. სიდიმ სებე ხლებ-სოლ კუშიმ. ეტა ბოლ დაიოთ, ზნაიშ? პურზედ უჩვენებს. ნე ტი დაიოშ, ბოლ დაიოთ!..

ერთი კინტო ღვინის მირთმევას უპირებს გოროდოვოის, სოსანა ხელიდამ წაჰგლეჯს სტაქანს.

— რას შვრები, კაცო? საქმე არა გაქვს... მე კი არ ვიცი რის მუცლის ტკივილიცა აქვს მაგასა? რო მოკვდეს, ექვე რო ფეხები გაფშლიკოს, ერთ კაპლსაც არ დავალევინებ... ტა დუმაიშ მტო ია ნე ზნაიუ შტო ტი ხოჩიშ?—მიუბრუნდება გოროდოვოის. ტი ვინა ხოჩიშ, ნო ზდოხნიშ ნე დამ. გოროდოვოი დაყოყმანდება და მერე გაბრუნდება.

— მობრძანდი, ერთი ღვინო დაგვილიე, ძმაოჯან! უყვირის სოსანა ერთ იმერელს. იმერელი ხმას არა სცემს—თავისთვის მიდის. სოსანა თან გააყოლებს, რაც იმერლებს ძალიან ეჯავრებათ. იმერელი მობრუნდება და ყურის ძირში ლაწანს გაადენს. კინტოები წამოცვივიან საცემრად, მაგრამ იმერელი ხანჯალს ხელს მოისვამს და ბულვარიდამ გაიფანტებიან. სოსანა შორიდამ გულადად იგინება, თან კი მზად არის გასაქცევად. იმერელი გაჰშორდა და სოსანა კიდევ დიდ ხანს ყვირის ხრინწიან ხმით ბულვარზედ: აი, მოწმები იყავით რომ ხანჯლით მოკვლას მიპირობდა! კაცნო, ერთი გამამტყუნეთ, პირში ჩამაფურთხეთ, თუ დაუშავე რამე მაგ ურჯულოსა! ვაი! შამილობაა, თუ ალა-მაჰმად-ხანობა... ეი, მე შენი დამღის დამსმელი.... მოუბრუნდება გოროდოვოის, ტი მნე ვინა ნი პაზვალაიშ პიტ, აჩევო ნიჩავო იამუ ნი სკაზალ, შტო ჩუჩუტ კინჟალომ ნი უბილ?..

ეგე გათავდა კინტოების ვახშამი.

## საქენკად.

ჩვენი გაზეთის მე-112 ნომერში დაბეჭდილი იყო სოფ. ალიდამ (ქართლში) კორესპონდენცია, რომელშიაც გამოაშკარავებული იყო ვიღაც ყულიჯანოვის თვალთ მაქცობა შეუგნებელი ხალხის ჯიბეების დასაცლელად. იწერებოდენ, რომ იმ

და შარშან ერთი ტუსაღი სიმშილით მოჰკვდომია. განქნილი «მატრიტელი», რომ სხვა მომარხულებზედ ამ შემთხვევამ ცუდად არ იმოქმედოსო, მაშინვე ოქზედ დაცემულა, შეუწირავს მადლობა ღვთისათვის და ყვირილი დაუწყია: შეხედეთ, შეხედეთ შვილებო! რა ნაირად მიაფრენენ ცაში მაგის სულს ანგელოზები ნეტავი მაგას! ნეტავი მაგას!.... იმავე მაზრაში ერთს პოლიციაში ახალგაზდა მოსამსახურეს ძალიან გამჭრიახობა გამოუჩენია და ყაჩაღი ოსები დაუჭერია. მაზრის უფროსს, არ ვიცით შეცდომით, თუ იმიტომ რომ მორეკილ ყაჩაღებს ციხის კარები მალე გაუღოვო, ორდენზედ ეს «მატრიტელი» წარუდგენია. მართალია ეს, თუ არა? უფრო სამართლიანი არ იქნებოდა ორდენზედ წარდგენის მაგიერ, ის პატიოსანი «გვამი» ამ ნაირად წარედგინათ; იმდენი ღვაწლის დასაჯილდოებლად, რაც №№-ს მიუძღვის სახელმწიფოს წინაშე, ჩვენ საკმაოდ არ მიგვაჩნია არც სტანისლავა, არც ანნა და თითქმის არც ორდენები ალექსანდრე ნეველისა და ანდრია პირველ მოწოდებულისა. ერთად ერთი ჯილდო, რომელიც შეეფერება მაგის დიდს ნამსახურობას, იქნება იმავე ციხეში ხასმა სიკვდილამდე და იქვე დასაფლავება სიკვდილის შემდეგ, ამისთვის უმდაბლესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ანუ ბრწყინვალებავ და სხ.....

—

ჩვენ გვეკითხებიან: მართალია-თუ არა, რომ ერთს დამსახურებულს სულის მამას სხვისა, ე. ი. საზოგადო ათას-ოთხასი თუმანი (14,000 მ.) მიურთმევია და არსეინად დაბრძანდება,—ხმას არავინა სცემსო? ძალიან შესაძლებელია, რომ მიირთვა, ვინაიდგან სხვის ფულების მირთმევის მადა ერთობ ყველას გაეღვიძა. მოგეხსენებათ, ძველი საქართველოს პრინციპი იყო: «რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!», რომელიც ესლა ამ ნაირად შეიცვალა; «რასაც ასწაპნი შენია, რაც არა დაკარგულია!»

აშენოთ ღმერთმა ამისი მამგონები.

—

იგივე ცნობის მოყვარე გვკითხავს: მართალია, თუ არა, რომ ერთ სადილზედ ერთი სასწავლებლის ზედამხედველს ერთმა მაზრის ჩინოვნიკმა წყენით საქმე მათლათვა ზედ თავზედ გადაამტვრია და იმან სამაგიერო პასუხი არ მისცაო? ქეც შეიძლება, რომ მართალი იყოს, რადგანაც ის ზედამხედველი სასულიერო მეცნიერების წარმომადგენელია, რომელშიაც სწერია: «მხოლოდ სული სიმშვიდისა, სიმდაბლისა და მოთმინებისა მამანიჭე».. და სხ..

ქვემოთ მოყვანილ წერილს ვბეჭდავთ შეუცვლელად, ორიოდე ჩვენი შენიშვნების გარდა. ბევრი რითიმეა შესანიშნავი ეს წერილი, წაიკითხეთ!

## წერილი რედაქტორს.

«დროების» მე № 126-ის ასალ ამბებში მე წავიკითხე შენიშნა, რომელშიაც სწერს ავტორი თ. ივ. მუხრან-ბატონი თავის «სავაჭრო სახლის» დახურვას აპირობს და ამ სახლში მოსამსახურე პირთათვის გამოუცხადებია, ან ნახევარ ჯამაგირს დასჯერდით, ან სამსახურს თავი დაანებეთო, მაგრამ მუხრან-ბატონის კანტორაში მოსამსახურე პირნი ნახევარ ჯამაგირზედ არ დაყაბულებულანო და აქედამ ის დასკვნა გამოყავს უნდა დათხოვნილ იყვნენ რამოდენიმე პირნი. მე როგორც ერთი იმ კანტორის მოსამსახურეთაგანს ნება მომეცით გსთქვა ამაზედ თვით არსებითი(?) სიმართლე. 1) მუხრან-ბატონს არავისთვის გამოუცხადებია დახურვა თვისის სავაჭრო სახლისა, და არც შეუძლიან ამაზედ ვინმემ დაწვრილებით ილაპარაკოს.(!) (მოგვიტევეთ, შემდეგ აღარ გავბედავთ!) ჩვენს მუხრან-ბატონს თვისის სიბრძნით *) არა აქვს ჩვეულება თავის გულის წადილი ადვილად ვისმეს გადასცეს, მაშ სადამ ის ხმა, რომელიც გაუგია ავტორის უსაფუძლოა. 2) მუხრან-ბატონს არავისთვის არ გამოუცხადებია ჯამაგირის დაკლება და არც ბრძანდება ისეთი მომჭირნე, რომ წლიწადში სამასი ოთხასი თუმნისთვის მესწუხდეს, მხოლოდ საქმე იმაშია აპერაცია ბანკისა შეაჩერა, იმ მიზეზით, როგორც ვფიქრობთ, სანამ გაასესხებულს ფულებს არ მოუყრის თავს, მანამ ვერ ამლევს წინანდელს მსვლელობას და წარმოებას თვისს სავაჭრო სახლს და შემდეგისთვის რა ნებავს, კიდევ გარდა მისის უბრწყინვალესობისა არავინ უწყის. (ახირებულია, შენმა მზემ!) აქ რასაკვირველია აპერაცის შეჩერება ვერ მოასწავებს ბანკის სრულიად დახურვას. უეჭველია როცა გაცემა ფულისა შეჩერებულია, იქ მოსამსახურე პირთ ძლიერ მცირედ გქმნებათ სამუშაო საქმეები და ყოველი თავ-მოყვარე ახალგაზდა, რომელსაც არა აქვს გამჯდარი სიზარმაცე, ვერ იკადრებს მუქთი ჯამაგირი აიღოს, აქ მეტი ღონე არ არის უნდა დაუტევოს სამსახური და შეუდგეს სხვა საქმეს; ქარედ, ხსენებულის ბანკიდამ გავიდნენ სამნი პირნი, სამნივე კარგის ოჯახის შვილნი, შეძლებით, სწავლით, ყოფაქცევით და რეპუტაციით შემკობილნი, რომლებთათვის ყოველთვის ადვილია შოვნა სამსახურისა და არც არიან ისინი მომდურალნი მუხრან-ბატონისა, როგორც ჯერ საზოგადოდ არ გამოჩენილა თვისი მოსამსახურეთაგანი ყოფილ იყვეს რაიმე საქმეში უკმაყოფილო; არამედ იმ თავიდამ დღესაც ყველანი დიდ კმაყოფილნი არიან მისის უბრწყინვალესობის უხვის ყურადღებისა. იყავნ ისინი დღეგრძელ სანუგეშოდ მამულისა. (სუმრობთ, ბ. იოსავა, თუ მართალს ამბობთ!? ივანე ბატონს ბევრგან აქვს მამული,—დაასახელეთ, რომელი მამულისა: დიღმისა, მუხრანისა, თუ თრიალეთისა, რაკი ყველა ბ-ნი ივანეს კანტორაში მოსამსახურე სანუგეშოდ მამულისა ცხოვრობს, მაშ თქვენც იცოცხლეთ, იოსავა, სანუგეშოდ მამულისა!) სოლო რაჟცა შეეხება სავაჭრო სახლს, მაინც დარჩნენ საკმაო პირნი (სუთამდის) აღსასრულებლად თანამდებობისა და ჯერც დაუკლიათ მათთვის ჯამაგირი.

იოსავა.

1883-სა წელსა.
ივლისს 8 სა.

*) მივაქცევია ყურადღება, ვისაც ჯერ არს, ამ წერილის ავტორზედ, რომელსაც ერთხელ მეორე მცნებით აღკრძალული კერპთ მსახურება, მეორედ აღუდგენია. მხოლოდ ერთი ღმერთია, ბ. იოსავა, რომლის წადილი და ფიქრი დაფარულია მოკვდავისათვის.

რედ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ორ ქმრიანი ქალი.—ერთი ინგლისელი გაზეთი ამბობს, რომ ამ ცოტა ხანში ნიუ-იორკის ნავთ საუდელში გაჩერდა ერთი, ინგლისიდამ მოსული გემი, საიდამაც, სხვათა შორის, ერთი ახალგაზდა ქალი გადმოვიდა. ამ ქალს ორი კაცი მიეგება და ორივენი მის ქმრობას ჩემულობდენ. როგორც შემდეგიდამ აღმოჩნდა, ორივენი მართლები ყოფილიყვნენ. თორმეტის წლის წინად იმ ქალს ჯვარი დაეწერა ერთ კაცზედ, რომელსაც სახელად ერქვა ჯინმათიური. ქორწილის შემდეგ ის მალე წავიდა ამერიკაში და მას აქეთ მის ახალგაზდა ცოლს იმისი აღარაფერი შეუტყვია, მხოლოდ ჭორად შემოესმა, ვითომ, იმის ქმარი კიდეც მოკვდა ამერიკაში. მაშინ შეირთო მეორე ქმარი, სახელად პრისი, რომელიც ამ სამის წლის წინად ამერიკაშივე წავიდა. ეხლა დაუბარებია თავისი ცოლი. ეს ქალი მალე წავიდა ქმართან და რამწამს ამერიკას მიადგა, მაშინვე ორთავე ქმარი ერთად შეხვდა, წინანდელი ქმარი თურმე შემთხვევით იყო იქ და მაშინვე იცნო თავისი ცოლი. ამ ორ კაცს შუა დიდი შეტაკება და ჩხუბი მოხდა, მაგრამ პირველმა ქმარმა მათიუსმა მალე დაუმტკიცა, რომ ის იყო ამ ქალის ნამდვილი ქმარი. პრისმა აღარაფერი გააწყო და გამოეთხოვა თავის საყვარელ მეუღლეს. იშვიათი რამ ქალი ყოფილა, თორემ ის რომ ჩვეულებრივი ყოფილიყო, პირველი ქმარი რამწამსაც თვალს მოჰკრავდა, ქაფურივით გაქრებოდა.

—

ქურდობაც ესეთი უნდა, ამ ცოტა ხანში ერთს ვაჭარს მოსკოვის ერთი ბანკიდამ მიუღია 39,500 მან. იქვე დამჯდარა და ფულებს თურმე ნელ-ნელა ალაგებდა ტყავის აბგაში. იმ დროს ვიღასაც ხელი წაუკრავს და უთქვამს: შენი ხომ არ არის ე სტოლ ქვეშ რომ პორტმანი გდია, ლაშკოვს (იმ ვაჭრის გვარი) შეუხედნია და თავს თურმე ადგა ერთი რიგიანად ჩაცმული, ხანში შესული კაცი, რომელიც ურიას ჰგვანდაო. შეუხედნია სტოლ ქვეშ, სადაც მართლა ერთი რაღაც პორტმანი გდე-

---

ალის განმანათლებელს და კეთილის მყოფელს ვიღაც გაიძვერა იმერელი მიეთრია, ტყუილი მუნჯი, მკითხაობის სახელი გაევდო და, როგორც მოხდება ხოლმე, მიაწყდა თურმე მლოცავი ყულიჯანოვის სახლს. ის კორესპონდენცია ყულიჯანოვს, სჩანს, საგრძნობელ ალაგას მოჰხვედრია და თავის გასამართლებლად იმისთანა საშუალებისთვის მიუმართავს, როგორც შეეფერება ათასნაირ დარჯაკში გამომძვრალ კაცს. მხოლოდ ცოტა რამ დაჰვიწყებია ყულიჯანოვს: ის, რომ იმას ეხლა საქმე ჰქონდა გაზეთის რედაქციასთან და არა სოფლის კანცელიარიასთან, რომელიც, ალბად, ბევრჯელ გაუცურებია.

დღეს მივიღეთ ერთი უშველებელი წერილი, ვითომ, პასუხი იმ კორესპონდენციისა, რომელშიაც ყულიჯანოვი თვით ფაქტზედ არაფერს ამბობს. მისდგომია და უშვერის პირით ჰლანძღავს იმ კორესპონდენციის დამწერს, რომელსაც გაკოტრებულ მიკიტანს და ხალხის მყვლეფელ ადვოკატს ეძახის. არც ქართველების და სომხების მღვდლებისთვის იშურებს მაგარ სიტყვებს, რასაკვირველია, ამიტომ რომ იმის ცრუ-მუნჯ მკითხავს მალე უჭირეს ჭიტლაყი და ყულიჯანოვს მუქთი შემოსავალი მოაკლეს. თითონ რომ სწერდეს, კიდევ არაფერს ვიტყოდით, მაგრამ საძაგლობა ის არის, რომ ყულიჯანოვს «პოდლოგისთვის» მიუმართავს. წერილიდამ ისე გამოდის, რომ ვითომ დაბეჭდილს კორესპონდენციას მეტად შეუწუხებია იქაური გლეხკაცობა,—ჩვენი მამა და კეთილის მყოფი ცუდად რად მოიხსენიოსო და ის გლეხები სწერენ იმის მაგიერ პასუხს. წაიკითხეთ ამ წერილის ბოლო და თითონ მიჰხვდებით რა სუნიც ასდის ყულიჯანოვის მოქმედებას. «გლეხების თხოვნით ეს შევთხუზე ახალ-ქალაქის სკოლის უჩენიკმან და რადგანაც იმათ წერა არ იციოდენ, მათ მაგიერაც ხელს ვაწერ». ამ სიტყვებით თავდება ეს ყულიჯანოვის «პოდლოგი». კარგი ნაყოფი კი გამოუღია, თუ ახალ-ქალაქის სკოლის «უჩენიკები» ესე მალე შესდგომიან ამისთანა «პასკვილების» «შეთხუზვას»!

ყულიჯანოვის ოინბაზობა და— უნამუსობას არ ვიტყვით—სითამამე ამითი არ თავდება და უფრო შორს მიდის. თავის წერილთან სამი მანეთი გამოუგზავნია, ვითომ სტამბის სასარგებლოთო! აკი გითხარით—ყულიჯანოვს გაზეთის რედაქცია სოფლის კანცელიარია ჰგონებია და მოქრთამა დაუპირებია. რედაქციის დაქრთამა და ისიც სამი მანეთით, სად გაგონილა? მეტი ვერ გაიმეტეთ, ბ. ყულიჯანოვ? არც რედაქცია და არც სტამბა თქვენ სამ მანეთში არა საჭიროებს, მაგრამ უკან დაბრუნების იმედიც ნულარა გაქვთ. თქვენ სამ მანეთს რედაქცია გადასცემს «წერა-კითხვის საზოგადოებას» თქვენ «დასაჭტრაფავად», რომ მეორედ არც თქვენ და არც ვინმე თქვენმა მსგზავსმა უნამუსობა აღარ ჩაიდინონ და რედაქციას დაქრთამვა არ გაუბედონ.

«არ გინდოდეს ჭირიო»... ისე მოგივიდათ, ბ. ყულიჯანოვ, მაგრამ თქვენივე თავი გაამტყუნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზულა, რომელშიაც აღმოჩენილა ორი მანეთი და ერთი რაღაც დაბღაჯნილი ქაღალდი. ეს ორი მანეთი კი შეარჩა ლამპრუს, მაგრამ როდესაც დაეწოდა, იმ კაცმა ერთ დიდ პაჩკას სტაცა ხელი. რომელშიაც ათასი თუმანი იდო და გაქცეულა, ზეგრი ეძებეს, მაგრამ გაქცეული ურია ჩაიყლაპა.

—

საბრალო მთხოვარი. კიევის გაზ. «Заря»-ში შემდეგი ამბავი სწერია: ამ ცოტა ხანში კიევის საურთიერთო ნდობის ბანკის მმართველობამ მიიღო შემდეგი თხოვნა ერთი თავისი წევრისაგან: «რადგანაც უკიდურეს სიღარიბეში და სიღატაკეში ჩავარდი, მაგრამ ერთ სამ სართულიან სახლს კი ვაშენებ, რომელშიაც ეხლავე ექვსი ათას თუმანს მაძლევენ, უმორჩილესად ვთხოვ ბანკის გამგეობას ათასი თუმანი კიდევ მასესხოს.»

გაიკვირეთ საცოდავი! რა სიღატაკეში ჩავარდნილა!?

—

ანგარიშის მოყვარე «ნეფე». პოლშაში ერთ კსენძთან (მღვდელთან) მისულა ახალგაზდა კაცი, დაუსახელებია ქალი-თავისი საცოლე ეკლესიაში გამოსაცხადებლად, როგორც წესი მოითხოვს. კსენძს წიგნში ჩაუწერია და დაწესებული ფასი გამოურთმევია, რამდენიმე დღის უკან მისულა იგივე ყმაწვილი და უთქვამს: ეხლა მეორე ქალს ვირთავ და ის გამოაცხადეთ. მაგრამ რადგანაც შეუტყვია, რომ კიდევ ხელმეორედ უნდა გადიხადოს ფული, პატარა ჩაფიქრებულა და უთქვამს: კარგი მაშ, ისევ ძველ საცოლოზედ დავიწერ ჯვარს! და კიდევ დაუწერია მართლა...

## განცხადებანი


25% უფრო იაფად მინამ სხვაგან

ციტრატი, მაგნეზია, ყავის საფქვავი. საურველები, უთოები, კრაოტები, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, კლიონკა, დანები, შრიტკები, ჩანგლები, კალმები, ჩაი პირველი რთველისა და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—2)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი. შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—4)

ბაქოს რკინის გზის სადგურში (ავჭალის ქუჩაზედ, რკინის გზაზედ გადასავალში) პარასკევს, ამ ივლისის რვიდამ, დილის რვა საათზედ ყოველ დღე აუქციონით გაისყიდება დარჩენილი მასალა, იარაღები და ერთიც სადგომი სახლი დასაშლელად. (3—2)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

მომავალის სექტემბრისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შეიძლება მიღებულ იქმნენ ყველა მაზრებიდგან მხოლოდ ორმოც-და-თვრამეტი ყმაწვილი (58); ოც-და-თვრამეტი პირველს (დასაწყისს) განყოფილებაში და ოცი—მეორეში.

პირველს განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან უეჭველად შვიდის და რვა წლის ყმაწვილები. შემომსვლელთ მეორე განყოფილებაში უნდა ეცოდინესთ ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკიდგან შესწავლილი უნდა ექმნესთ ყოველი მარტივი რიცხვები ერთიდგან ოცამდის. მსურველთ შეუძლიათ თხოვნის შემოტანა ოც-და-ხუთს აგვისტომდის; ოც-და ხუთიდგან თვის დამლევამდის იქნება ახალი მოსწავლეების მიღება. ერთად თხოვნასთან, რომელიც იწერება სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე, საჭიროა წარმოადგინონ თავად-აზნაურობის მოწმობა, ან მოწმობა ბანკიდგან, რომ მოსწავლის ბინის დამფუძნებლად ირიცხება, და წლოვანობის მოწმობა.

მესამე და მეოთხე განყოფილებებში და აგრეთვე პირველს პროგიმნაზიულს კლასში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში შემოსვლის თხოვნა მიღებული არ იქმნება. (15—4)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფანდოსები, კლიტეები, სათვალეები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიშნები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1 ლის ხარისხისა. (100—86)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—4)



მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სპიტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ვერცხლის მედალი.

შპალერები

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადესის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მეიდველთ დაეთმობათ. (40—36)

საკლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტასტერი, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მუშკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომობი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრავები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—43)

2000 ბოთლი ციტრატ-მაგნეზიის წყურვილის მოსაკლავად 80 კ., 1000 ყავის საფქავი 1 მანეთიდამ, 3000 საურველი 20 კაპეიკიდამ, 4000 ჩაჰისაკიდებელი 5 კ. ინგლისის მაღაზიაში.

იქვე კარბოლის პარაშოკი, უნაგირები, რევოლვერები, ჩულქები, წინდები და გუტაპერჩის პალტოები 25% იაფად სხვებზედ. პარუსინა და კაცის წამოსასხამები ნახევარ ფასად. (10—9)


### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ და-ხელ პირველიდამ 16 მკათათვემდე 1883 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5½ |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 გ. | 3½ |
| მეორისა — | —1 გ. | 3 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 გ. | 3½ |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | 5½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 გ. | 3½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 8 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 12 Іюля 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.